თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3314837

ნომერი: AR1509631

თარიღი : 30.05.2017

გაცემის თარიღი : 13.06.2017

გაცნობის თარიღი : 13.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნინოშვილი , N 69 , (ნაკვეთი N3/22) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მზია პერანიძე პ/ნ 01030035910
- თბილისი ე.ნინოშვილის ქ. N 71

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1509631 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ.თბილისში, #01.16.01.003.022 საკადასტრო ერთეულზე ნებისმიერი სახის განცხადების შემოსვლის შემთხვევაში ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში, ნინოშვილის ქუჩა #69-ში, #01.16.01.003.022 საკადასტრო ერთეულზე სამსახურის მიერ გაცემულია შემდეგი აქტები.

2016 წლის 16 აგვისტოს #2781264 ბრძანებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

2016 წლის 26 სექტემბრის #2855629 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16.08.2016 წ. #2781264 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: გაუქმდა მიწის ნაკვეთის უკანა ეზოსთვის დასმული განაშენიანების რეგულირების ხაზები;

2016 წლის 22 დეკემბრის #3011404 ბრძანებით შეთანხმდა N04/1 და N03/1 შენობების დემონტაჟისა და მის ნაცვლად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის - ბლოკი "ბ" - განთავსების არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.

2017 წლის 5 იანვრის #3015053 ბრძანებით შეთანხმდა არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის რეკონსტრუქციის (საოფისე ბლოკი "ა") არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

2017 წლის 6 იანვრის #3035563 ბრძანებით შეთანხმდა N 02/1 და N 06/1 შენობის დემონტაჟისა და მის ნაცვლად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის - ბლოკი "გ" - განთავსების არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.

2017 წლის 18 მაისის #3252270 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 დეკემბრის #3011404 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდა შპს ,,ბილდია" (ს/კ:404535035).

2017 წლის 18 მაისის #3252274 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 06 იანვრის #3035563 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,ბილდია" (ს/კ:404535035).

2017 წლის 18 მაისის #3253332 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05.01.2017 წლის #3015053 ბრძანებაში და დამკვეთად სს „შოდა“-ს ნაცვლად დაფიქსირდა შ.პ.ს „ბილდია“ (ს/კ კოდი: №404535035).

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში, #01.16.01.003.022 საკადასტრო ერთეულზე (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული, ხოლო რაც შეეხება ბინით დაკმაყოფილებას, საკითხი სცილდება სამსახურის კომპეტენციას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციას (მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. #7)

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდების მითითების შემთხვევაში.
